



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

09.06.2014

№ 21

სარჩევი

საქართველო.....	3
„ახმეტაჰესის“ მშენებლობა დასრულდა	3
რაჭა-ლეჩხუმში 11 სოფლის გამრიცხველიანება დასრულდა.....	4
ყაზტრანსგაზ თბილისის“ გენერალური დირექტორი კომპანიის გაყიდვის გეგმებს ადასტურებს	5
რეგიონი	6
თურქეთში წყლის დაბინძურების კუთხით ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები „ლიდერობენ“	6
ირანულმა და აზერბაიჯანულმა კომპანიებმა მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოლაპარაკებები გამართეს.....	7
სომეხი ეკონომისტის განცხადებით, ქვეყანაში გაზის მაღალი ფასი რუსეთის „ბრალი“ არ არის	8
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	8
გერმანული GEO-NET უზბეკეთის ქარის ენერჯის პოტენციალს სწავლობს	8
Gazprom Neft-ი ირანის „ბადრას“ საბადოდან მიწოდებს აგვისტოში დაიწყებს	10
ევროპა	11
ბულგარეთმა „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა შეაჩერა.....	11
სერბეთმა დატბორილი ელექტროსადგურის ოპერირება განაახლა.....	13
სლოვენის გადაცემის სისტემის ოპერატორი ახალ გადამცემ ხაზს ხსნის.....	14
მსოფლიო.....	14
ჩინეთის ბუნებრივი აირის წყაროები.....	14
აშშ ენერგო მოთხოვნის 84%-ს შიდა რესურსებით იკმაყოფილებს	16
ნავთობის ფასის მოძრაობა – მსოფლიო ბირჟების 3 ივნისის მიმოხილვა	17
ანალიტიკა	17
მსოფლიოს 5 უდიდესი ნავთობის საბადო.....	17

„ახმეტაჰესის“ მშენებლობა დასრულდა

ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ახმეტის მუნიციპალიტეტში „ახმეტაჰესის“ ექსპლუატაციაში გაშვების ცერემონიალს დაესწრო. პროექტი შპს „ჰიდროლეა“-მ განახორციელა.

„ახმეტაჰესის“ დადგმული სიმძლავრე 9.4 მეგავატია, სავარაუდო წლიური გამომუშავება კი დაახლოებით 50 მილიონი კვტ.სთ.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 9.8 მილიონი აშშ დოლარია. ინვესტიცია ბულგარულმა კომპანია „ჰიდროლეამ“ ადგილობრივი ბანკებისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანადაფინანსებით განახორციელა.



ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 2013 წლის ივლისში დაიწყო. მშენებლობის პერიოდში სხვადასხვა ეტაპზე დასაქმდა 250 ადამიანი, მათ შორის 150 ადგილობრივი მოსახლე. ამჟამად, სადგურს 8 მუდმივად და 12 დროებით დაქირავებული თანამშრომელი

ემსახურება, რომელთა შორის უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა.

ელექტროსადგურში დამონტაჟებულია ავსტრიული კომპანია ANDRITZ HYDRO-ს მიერ მოწოდებული უმაღლესი ხარისხის ევროპული მოწყობილობები, ხოლო სადგურის საპროექტო სამუშაოები საერთაშორისო საპროექტო კომპანია STUCKY-მ შეასრულა.

ელექტროსადგურში ასევე დამონტაჟებულია თანამედროვე ინფორმაციის გადაცემისა და მართვის სისტემა SCADA, რომელიც ყველა ოპერაციის ავტომატიზირებისა და კომპიუტერული მართვის საშუალებას იძლევა.¹

¹ <http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=275&lang=geo>

რაჭა-ლეჩხუმში 11 სოფლის გამრიცხველიანება დასრულდა

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში სოფლების ინდივიდუალურ გამრიცხველიანების პროექტების განხორციელებას განაგრძობს. 2014 წლის განვლილ პერიოდში რეგიონში უკვე 11 სოფლის გამრიცხველიანება და ქსელის რეაბილიტაცია დასრულდა, რომლის ფარგლებშიც 999 აბონენტს კომპანიამ თანამედროვე ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟა.



სოფლების გამრიცხველიანება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში კომპანიის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. 2014 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში დასრულდა ზემო სხვაგას, ახალსოფლის, უკემის, ლადიშისა და წკადისის გამრიცხველიანება, სადაც 449 აბონენტს დაუმონტაჟდა ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძი; ონში კომპანიამ უკვე 4 სოფლის: სომიწოს, ქვედის, ქრისტესისა და ხირხონისის 261 აბონენტი გაამრიცხველიანა; ხოლო ცაგერის რაიონში პროექტები 2 სოფელში – დეხვირსა და აღვში დასრულდა, სადაც 289 მომხმარებლებს დაუმონტაჟდა მრიცხველი. აღნიშნულ სოფლებში ენერგოკომპანიამ გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციაც მოახდინა, რომლის ფარგლებშიც, საერთო ჯამში, 273 ახალი რკინა-ბეტონისა და ხის საყრდენი და 51 000 მეტრზე მეტი იზოლირებული სადენი დამონტაჟდა. მართალია, ამ ეტაპზე ქსელის რეაბილიტაცია საგრძნობლად გამოასწორებს მომხმარებლის ელექტროგომომარაგებას, მაგრამ ის მთლიანად ვერ გამორიცხავს უამინდობის, ან სხვა მიზეზით გამოწვეულ გათიშვებს. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კომპანია მომავალშიც განაგრძობს ფიდერებისა და მაღალი ძაბვის ქვესადგურების რეაბილიტაციას.

ინდივიდუალური გამრიცხველიანებისა და ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებშიც. 2014 წელს სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში კიდევ 35-მდე სოფელს გაამრიცხველიანებს. 2010 წლიდან დღემდე რეგიონში უკვე 138 სოფელი გამრიცხველიანდა ინდივიდუალურად, რაც ჯამში თითქმის 19 ათას აბონენტს გულისხმობს. ენერგოკომპანია გამრიცხველიანების სამუშაოებს დაგეგმილი გრაფიკით განაგრძობს და პროექტი 2015 წლისთვის დასრულდება.²

² <http://www.energo-pro.ge/ka/2014/individual-re-metering-completed-in-11-villages-in-racha-lechkhumi-region/>

„ყაზტრანსგაზ თბილისის“ გენერალური დირექტორი კომპანიის გაყიდვის გეგმებს ადასტურებს

კომპანიის გენერალური დირექტორი სანჟარ შოკატაევი commersant.ge-სთან საუბარში ადასტურებს ინფორმაციას კომპანიის გაყიდვის გეგმების შესახებ.

როგორც შოკატაევი „კომერსანტს“ განუცხადა, საუბარი არაა იმაზე, რომ ყაზახმა



ბიზნესმენებმა საქართველოდან საკუთარი აქტივების გატანა გადაწყვიტეს. საქმე ეხება ყაზახეთის მთავრობის გადაწყვეტილებას გლობალური პრივატიზაციის დაწყების შესახებ და ამ პოლიტიკის ნაწილია „ყაზტრანსგაზ თბილისის“ გასაყიდად

გამოტანაც.

შოკატაევის განმარტებით, „ყაზტრანსგაზი“ სახელმწიფო კომპანიაა და მას გასაყიდად სხვა, გაცილებით მსხვილი შვილობილი კომპანიებიც გამოაქვს.

commersant.ge-ს შეკითხვაზე, იურიდიულად როგორაა შესაძლებელი საქართველოს სახელმწიფოს მიმართ დავალიანების მქონე კომპანიის გაყიდვა, შოკატაევი ამბობს, რომ ეს თემა მთავრობებს შორის მოლაპარაკებებით დარეგულირდება, რომელიც საქართველოს თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ შედგება.

„კომერსანტი“ ასევე დაინტერესდა, უკვე არსებობენ თუ არა კომპანიის შემენით დაინტერესებული ბიზნესმენები. შოკატაევი ამ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა აცხადებს, რომ სავარაუდოდ, ეს ქართული ბიზნესჯგუფები იქნებიან. მისი თქმით, საქართველოს წინა ხელისუფლების დროს „ყაზტრანსგაზის“ ყაზახურმა მენეჯმენტმა საქართველოში საქმიანობის გაგრძელება ვერ შეძლო და იმედს გამოთქვამს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში კომპანია შეძლებს საქმიანობის წარმატებით გაგრძელებას.

ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ყაზტრანსგაზ თბილისის“ 100%-იანი წილი 2015 წელს გაიყიდება, ყაზახურმა სააგენტო „ყაზ ტაგმა“ სამთავრობო დადგენილებაზე დაყრდნობით გაავრცელა.

წყაროს მოჰყავს იმ შვილობილი კომპანიების ჩამონათვალი, რომელიც პრივატიზაციას დაექვემდებარება. „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მათ შორისაა. კომპანიის ღირებულება არ სახელდება.

„ყაზტრანსგაზ თბილისის“ მოქმედ მენეჯმენტში commersant.ge-ს განუცხადეს, რომ კომპანიის გაყიდვის გეგმების შესახებ არაფერი იციან და დროებითი მმართველი საქმიანობას ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „სემეკმა“ კომპანიის დროებით მმართველს უფლებამოსილება ერთი თვით გაუგრძელა.

ყაზახურმა კომპანია "ყაზტრანსგაზმა" თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „თბილგაზი“ 12 500 000 აშშ დოლარად 2006 წელს შეიძინა. 2009 წლისთვის „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ 80 მილიონი ლარის დავალიანება დაუგროვდა, აქედან 68 მილიონი - საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიმართ. კომპანიის მიერ დაგროვილი ვალების ამოღების მიზნით, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2009 წელს „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ სპეციალური მმართველი დანიშნა.³

რეგიონი

თურქეთში წყლის დაბინძურების კუთხით ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები „ლიდერობენ“

თურქეთის სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურის ცნობით, ქვეყანაში წყლის დაბინძურების კუთხით ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურები „ლიდერობენ“.



2012 წლის მონაცემებით, დაბინძურებული წყლის 52.3% სწორედ ამგვარ სადგურებზე მოდის და ის მკვეთრად აღემატება მოსახლეობის მიერ წყლის დაბინძურების მაჩვენებელს, რომელიც 34%-ს შეადგენს.

³ <http://commerzant.ge/?menuid=83&id=12038>

როგორც გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე აღნიშნა, 2012 წელს თურქეთის მუნიციპალიტეტებმა, სოფლებმა, სამრეწველო ორგანიზაციებმა, თბოელექტროსადგურებმა, ინდუსტრიულმა ზონებმა და სამთამადნო კომპანიებმა ბუნებას ზიანი 12 მლრდ კუბ. მ დაბინძურებული წყლით მიაყენეს.

ქვეყანაში 2012 წელს 4.1 მლნ ტონა ჯანმრთელობისთვის საშიში წყლის ნარჩენი იყო. ამას ემატება 982 მლნ ტონა არასახიფათო ნარჩენი. მთლიანი მოცულობიდან 947 მლნ ტონა სამთამადნო მრეწველობაზე მოდის, საიდანაც 3.2 მლნ ტონა ჯანმრთელობისთვის საშიშია.

დაღვრილი წყლის 77.1%-მა ზღვა, ხოლო 18.6%-მა მდინარეები დააბინძურა.

2012 წელს 14.3 მლრდ კუბ.მ. წყალი ხელახლა გამოიყენეს მუნიციპალიტეტებმა და სოფლებმა და ასევე სამრეწველო ინდუსტრიებმა, თბოელექტროსადგურებმა და ინდუსტრიულმა ზონებმა, რათა შეემცირებინათ გარემოზე ზემოქმედება.

ამოღებული წყლის 52.1% - ზღვიდან, 18% - კაშხლებიდან, 11.9% - წყაროებიდან და 3% - სხვა წყაროებიდან ამოიღეს.⁴

ირანულმა და აზერბაიჯანულმა კომპანიებმა მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოლაპარაკებები გამართეს

სააგენტო IRNA-ს ცნობით, „კასპიის რეგიონის ნავთობისა და გაზის 21-ე საერთაშორისო გამოფენის“ ფარგლებში ირანულმა და აზერბაიჯანულმა კომპანიებმა თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოლაპარაკებები გამართეს.

გამოფენაში, რომელიც აზერბაიჯანის დედაქალაქში გაიმართა 10-ვე ირანულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, რომლებიც ნავთობისა და გაზის პროექტებში მონაწილეობენ.

„ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ირანული კომპანიები ასეთი მასშტაბით მონაწილეობენ აზერბაიჯანში გამართულ ნავთობისა და გაზის საერთაშორისო გამოფენაში. ირანის ინტერესი აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის სექტორისადმი დიდია. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ გამოფენაში მონაწილე კომპანიების 60%-მა მიაღწია პირველად შეთანხმებას,“ - აღნიშნა ირანული კომპანიების კოორდინატორმა ამირ ზანდმა.



**CASPIAN
OIL & GAS**

⁴<http://www.hurriyetdailynews.com/thermal-power-plants-produce-half-of-turkeys-wastewater.aspx?pageID=238&nID=67464&NewsCatID=340>

ირანული კომპანიების მენეჯერების მიერ IRNA-სთვის მიცემულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ისინი აღფრთოვანებულნი არიან მოლაპარაკებების ტენდენციის გამო და აპირებენ გააფართოვონ ორმხრივი ურთიერთობები, რაც ირანულ კომპანიებს საშუალებას მისცემს თავი დაიმკვიდრონ აზერბაიჯანის დიდ ენერგეტიკულ ბაზარზე.⁵

სომეხი ეკონომისტის განცხადებით, ქვეყანაში გაზის მაღალი ფასი რუსეთის „ბრალი“ არ არის

სომეხი ეკონომისტის აშოტ იელიაზარიანის განცხადებით, ქვეყანაში ბუნებრივი აირის მაღალი ფასი მხოლოდდამხოლოდ სომხეთის ბრალია და მასში დამნაშავე რუსეთი არ არის.

„სომხეთმა უკვე გააფორმა რუსეთთან შეთანხმება და ბუნებრივ აირს საბაზისო ფასად იღებს. ეს შეთანხმება 2014 წელს არ შეიცვლება.

ბუნებრივი აირის შესახებ განხილვები სხვა ჭრილში უნდა გადავიდეს: რატომ აქვს Gazprom-Armenia-ს ასეთი მაღალი ზედნადები ხარჯი? სხვა ქვეყნებში სადისტრიბუციო კომპანიები ასეთ მაღალ მარჟას არ აწესებენ,“ - აცხადებს იელიაზარიანი.

1 000 კუბ.მ. რუსული ბუნებრივი აირი სომხეთის საზღვარზე 189 აშშ დოლარი ღირს. სომხეთში დიდი მომხმარებლები ათას კუბურ მეტრ გაზში 276.98 აშშ დოლარს, ხოლო სხვა მომხმარებლები 156 000 დრამს (დაახლოებით 377 აშშ დოლარს) იხდიან.⁶

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

გერმანული GEO-NET უზბეკეთის ქარის ენერჯის პოტენციალს სწავლობს

გერმანულმა კომპანია GEO-NET Umweltconsulting GmbH-მა უზბეკეთის ქარის ენერჯის პოტენციალის შესწავლა დაიწყო. სამუშაოები Uzbekenergo-სა და GEO-NET-ს შორის დადებული კონტრაქტის ფარგლებში განხორციელდება. კონტრაქტი უზბეკეთის 6 რეგიონში ელ.ენერჯის წარმოების მიზნით ქარის ენერჯის (ქარის საშუალო სიჩქარე 100 მ/წმ) პოტენციალის განსაზღვრას გულისხმობს. კონტრაქტის ღირებულება მასმედიისთვის ჯერ-ჯერობით უცნობია.

⁵ <http://en.trend.az/capital/energy/2282615.html>

⁶ <http://news.am/eng/news/212922.html>

ამ დრომდე გერმანულმა კომპანიამ 3D მოდელირების მეშვეობით უზბეკეთის ქარის საპროგნოზო ატლასი შეიმუშავა. ამ უკანასკნელის საბოლოო ვერსიის შექმნა კვლევის პერიოდის დასრულებისას, სავარაუდოდ, 2015 წლის ზაფხულამდე მოხდება, რის შემდეგაც მხარეები 2 საპილოტე ტერიტორიას შეარჩევენ ტექნიკური, მეტეოროლოგიური, გარემოსა და სოციალური რისკების გათვალისწინებით. GEO-NET-ის სამუშაოებზე დაყრდნობით დაგეგმილია უზბეკეთში ქარის სადგურების პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე მუშაობა, რომლის შედეგადაც განისაზღვრება სიმძლავრეებიც.



GEO-NET Umweltconsulting GmbH-ი განახლებად ენერჯიებზე, მეტეოროლოგიასა და გარემოზე ზემოქმედების დაგეგმვის მიმართულებით სპეციალიზირებული კომპანიაა. 1996 წლიდან მოყოლებული კომპანიას ჩატარებული აქვს სხვადასხვა შესწავლა, კვლევა და კონსულტაცია, როგორც ეკონომიკური სექტორისთვის, ასევე საჯარო მომხმარებლებისთვისაც, მათ შორის ფედერალური ინსტიტუტებისთვის.

Uzbekenergo 2020 წლამდე 250 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ქარის სადგურების მშენებლობას გეგმავს, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 50-100 მგვტ.-მდე იქნება. 2010 წელს უზბეკეთში, ჩარვაკის რეგიონში პირველი 750 კვტ. სიმძლავრის ქარის ტურბინა აშენდა. პროექტის საინვესტიციო ღირებულებამ 2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე წლის ბოლოს ტაშკენტში ასევე 750 კვტ.

სიმძლავრის ქარის ტურბინის მშენებლობა უნდა დასრულდეს, რომლის სიმაღლე 65 მეტრი, ფრთების სიგრძე - 50 მ., კომპურის დიამეტრი - 3.6 მ., მთლიანი წონდა კი - 112 ტონა იქნება.

ამჟამად უზბეკეთის ენერგო სისტემაში 45 ელექტრო სადგური მოქმედებს, რომელთა ჯამური სიმძლავრე 12 800 მგვტ.-ია. ელ.ენერგიის უმეტესი ნაწილი - 10 600 მგვტ. სიმძლავრე 10 თბოსადგურზე მოდის. 2013 წელს ქვეყნის ელ.ენერგიის გენერაცია 2012 წელთან შედარებით 3.2%-ით გაიზარდა 54.207 მლრდ.კვტ.სთ-მდე.⁷

Gazprom Neft-ი ირანის „ბადრას“ საბადოდან მიწოდებს აგვისტოში დაიწყებს

რუსული გიგანტის Gazprom-ის შვილობილი Gazprom Neft-ი ირანის „ბადრას“ საბადოდან ნავთობის მიწოდებს იენისის ბოლოს ან აგვისტოში დაიწყებს. აღნიშნულ საბადოზე მოპოვება კომპანიამ 31 მაისს დაიწყო. დაგეგმილ დონეს - 15 000 ბარელი დღეში - კომპანია 3 თვის განმავლობაში მიაღწევს მაშინ, როცა კომპლექსის ტესტირების რეჟიმი დასრულდება და მიწოდებისათვის საკმარისი ნავთობის ოდენობის აკუმულირება მოხდება. 2017 წლისთვის კომპანია წარმოების პიკურ დონეს მიაღწევს - დღეში 170 000 ბარელი, ანუ წლიურად 8.5 მლნ ბარელი. კომპანიის აღმასრულებლის დიუკოვის განცხადებით, საბადოდან მოპოვებული ნავთობი მთლიანად ექსპორტზე გავა აზიასა და ევროპაში, საიდანაც ექსპორტის წილი პროექტში კომპანიის წილის ეკვივალენტური იქნება.

„ბადრას“ მარაგები 3 მლრდ ბარელ ნავთობს მოიცავს. Gazprom Neft-ი 30%-იანი წილით პროექტის ოპერატორია, მასთან ერთად წილს ფლობენ სამხრეთ კორეული Kogas-ი (22.5%), მალაიზიური Petronas-ი (15%) და თურქული TPAO (7.5%). ერაცის მთავრობა პროექტში 25%-იან წილს ფლობს.

დიუკოვის განცხადებით, კომპანია „დოლგინსკოეს“ საბადოზე გეგმავს ბურღვითი სამუშაოების დაწყებას, რაც Gazprom Neft-ისთვის მეორე არქტიკული საბადო იქნება. ამ პროექტის განვითარების მიზნით კომპანია წლის ბოლომდე პარტნიორების მოზიდვას ვარაუდობს. ამ მიზნით შეთავაზებები უკვე გაუგზავნეს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებსაც. „დოლგინსკოეს“ საბადოს მარაგები 200 მლნ ტონა ბარელი ნავთობის ეკვივალენტად არის შეფასებული, რომლის ოპერატორიც Gazprom Neft-ის შვილობილი Gazprom Neft Sakhalin-ია.⁸

⁷ <http://en.trend.az/capital/business/2282873.html>

⁸ <http://www.hellenicshippingnews.com/russias-gazprom-neft-to-start-supplies-from-iraqs-badra-field-by-august/>

ბულგარეთმა „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა შეაჩერა

ბულგარეთის ხელისუფლებამ ველარ გაუძლო ევროკავშირის ზეწოლას და რუსეთისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გაზსადენის „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა შეაჩერა. „მე გავეცი ბრძანება ყველა სამუშაოს შეჩერების შესახებ. ამ პროექტის მომავალი განვითარების შესახებ გადაწყვეტილებას ბრიუსელთან კონსულტაციების შემდეგ მივიღებთ“ - განაცხადა ბულგარეთის პრემიერმა პრამენ ორეშარსკიმ.

ევროკავშირი აცხადებს, რომ „სამხრეთის ნაკადი“ არღვევს ევროკავშირის ანტიმონოპოლიურ ნორმატივებს.



ევროკავშირის მაღალჩინოსნებმა ბულგარეთს არაერთხელ მოსთხოვეს სამუშაოების შეჩერება, თუმცა ოფიციალური სოფია კატეგორიულ უარზე იყო და აცხადებდა, რომ უკრაინის მოვლენებმა ამ პროექტზე გავლენა არ უნდა იქონიოს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ევროკავშირმა ბულგარეთის წინააღმდეგ სანქციები აამოქმედა. ბრიუსელში ისიც განაცხადეს, რომ პროექტთან დაკავშირებით ევროპული კანონმდებლობა თავად ბულგარეთმაც დაარღვია. ევროკომისიაში მიუთითეს, რომ ტენდერები დარღვევებით ჩატარდა და შედეგად მასში გამარჯვებული მხოლოდ რუსული და ბულგარული კომპანიები აღმოჩნდნენ.

პროექტის შეჩერება მოითხოვა ევროპარლამენტმაც, სადაც განაცხადეს, რომ სამხრეთის ნაკადი“ არ უნდა აშენდეს.

ევროპარლამენტის რეზოლუციაში ნათქვამია, რომ არსებობს ენერგეტიკული უსაფრთხოების სფეროში ერთობლივი პოლიტიკის „უკიდურესი აუცილებლობა“. ამ პოლიტიკის მიზანია „წყაროების დივერსიფიკაციის გზით შემცირდეს ევროკავშირის დამოკიდებულება რუსულ ნავთობსა და გაზზე და მოხდეს ენერგომატარებლების მესამე ენერგეტიკული პაკეტის სრული რეალიზაცია, რათა, აუცილებლობის შემთხვევაში, გაზის იმპორტის შეწყვეტის შესაძლებლობა არსებობდეს.“

ევროპარლამენტარები ასევე თვლიან, რომ ევროკავშირი ვალდებულია უკრაინას მიაწოდოს რევერსული გაზი და ეფექტური ქმედებებით დაიცვას კიევი პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლისაგან.

9 აპრილს ევროკომისიამ უკვე განაცხადა, რომ ივნისისათვის მომზადდება კომპლექსური გეგმა, რომელიც რუსულ გაზზე დამოკიდებულის შემცირებას ისახავს მიზნად. ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს ბრიუსელში გამართულ მრგვალ მაგიდაზე, რომელსაც ენერგეტიკის ევროკომისიარი გიუნტერ ოიტინგერი უძღვებოდა. ევროპა გაზის 30%-ს რუსეთიდან იღებს.

აშშ-მა უკვე განაცხადა, რომ ყირიმის ოკუპაციის საპასუხოდ, მზადაა ევროპას ამერიკული გაზი მიაწოდოს და ბებერი კონტინენტის რუსულ ენერგომატარებლებზე დამოკიდებულება შეამციროს. ევროპისათვის გაზის მნიშვნელოვან ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს ფიქალის გაზის უზარმაზარი საბადოები ბრიტანეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და უკრაინაში.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობა დაიწყო და ის ჩაფიქრებულია, როგორც „ტრანს-ანატოლიური გაზსადენის“ კონკურენტი. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავს ევროკავშირის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შემცირებას. „ტრანს-ანატოლიური გაზსადენის“ პროექტის მიხედვით, აზერბაიჯანული და შუა აზიური ბუნებრივი აირი ევროპას საქართველოსა და თურქეთის გავლით უნდა მიეწოდოს.

„სამხრეთის ნაკადი“ ასევე მიზნად ისახავს ევროპისათვის გაზის მიწოდებას, თუმცა უკრაინისა და თურქეთის გვერდის ავლით. პროექტის მიხედვით, გაზსადენი იწყება რუსეთის შავი ზღვის სანაპიროსთან და შავის ზღვის ფსკერით გადის ბულგარეთამდე. ბულგარეთიდან ერთი განშტოება საბერძნეთისა და ადრიატიკის ზღვის ფსკერის გავლით მიემართება იტალიაში, ხოლო მეორე განშტოება სერბეთისა და უნგრეთის გავლით ავსტრიასა და სლოვენიას უკავშირდება. პროექტის მიხედვით,

რუსული გაზი ავსტრიიდან მთელ ევროპას უნდა მიეწოდოს, რადგან ავსტრია წარმოადგენს გაზის განაწილების უმნიშვნელოვანეს ცენტრს ევროკავშირისათვის.

პროექტის მიხედვით, „სამხრეთის ნაკადით“ ევროპას რუსეთიდან ექსპორტირებული გაზის 35% უნდა მიეწოდოს. დღეისათვის ევროპაში ექსპორტირებული რუსული გაზის სულ მცირე 50% უკრაინაზე გადის.⁹

სერბეთმა დატბორილი ელექტროსადგურის ოპერირება განაახლა

სერბეთში მომხდარი წყალდიდობის შემდეგ, რომელმაც ელ.ენერჯის გენერაცია მნიშვნელოვნად შეამცირა, Nikola Tesla A-ს თბოსადგურის რამდენიმე აგრეგატი კვლავ



ოპერირების რეჟიმში შევიდა. სადგურის 305 მგვტ-იანი და 210 მგვტ-იანი სიმძლავრის აგრეგატები ქსელში გასულ კვირას დაბრუნდა. აღნიშნული თბოსადგური 6 აგრეგატისგან შედგება, რომლის ჯამური სიმძლავრე 1 650 მგვტ-ია. რაც შეეხება Nikola Tesla B

თბოსადგურს, იგი 2 აგრეგატისგან შედგება და მათი ჯამური სიმძლავრე 1 280 მგვტ-ია. ამ უკანასკნელს წყალდიდობის შედეგად საფრთხე არ შექმნია და ჩვეულ რეჟიმში განაგრძობდა ოპერირებას. ეს ორი თბოსადგური ქვეყნის ელ.ენერჯის გენერაციის 50%-ს უზრუნველყოფს.

კატასტროფის შედეგად „კოლუბარას“ თბოსადგურმა წარმოება 30%-ით შეამცირა, ხოლო ქვეყნის უდიდესმა „დიერდაპის“ ჰესმა კი - 40%-ით. გასულ კვირას წარმოება განაახლდა Polje D-ის ღია მოპოვების ქვანახშირის საბადოზე, რომლის ოპერირებასაც სერბეთის უდიდესი ქვანახშირის მომპოვებელი კომპანია Kolubara ახორციელებს. ნაწილობრივ დაიტბორა Polje B და Polje D საბადოები. Kolubara-ს ქვანახშირის მეშვეობით ქვეყნის ელ.ენერჯის 52%-ის გამომუშავება ხდება, რაც 20 მლრდ.კვტ.სთ-ს შეადგენს. წყალდიდობის შემდეგ ქვეყანაში 4.6 მლნ აშშ დოლარი გამოიყო 84.4 მლნ.კვტ.სთ. ელ.ენერჯის იმპორტისთვის, რაც დღიური წარმოების 79 მლნ.კვტ.სთ-დან 67 მლნ.კვტ.სთ-მდე შემცირების შედეგი იყო.

ქვეყნის სახელმწიფო ენერჯო კომპანია EPS-ის შეფასებით, წყალდიდობის შედეგად კომპანიის ზარალი 272 მლნ აშშ დოლარს უტოლდება, რაც ძირითადად დაუგეგმავ იმპორტის ხარჯებს მოიცავს. ქვეყანა ამჟამად საერთაშორისო მხარდაჭერის იმედადაა,

⁹ <http://news.ge/ge/news/story/92647-bulgaretma-samkhretis-nakadis-mshenebloba-sheachera>

რათა წყალდიდობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება შეძლონ. აღსანიშნავია, რომ წყალდიდობის გამო ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო და ენერჯო სექტორი თითქმის განადგურდა და ათასობით ადამიანი საცხოვრებლის გარეშე დარჩა.¹⁰

სლოვენის გადაცემის სისტემის ოპერატორი ახალ გადამცემ ხაზს ხსნის

სლოვენის სახელმწიფო გადაცემის სისტემის ოპერატორმა ELES-მა ლუბლიანასთან ახლოს 80 კმ. სიგრძის ორი 400 კვ-იანი „ბერიჩევი-კრსკოს“ გადამცემი ხაზი გახსნა. მისი მშენებლობა 2011 წელს დაიწყო და გასული წლის შემოდგომაზე დამთავრდა, ხოლო ქვეყნის ქსელს გასულ კვირაში მიუერთდა. გადამცემ ხაზს ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს „პოსავკეს“ რეგიონის (სადაც ელ.ენერჯის გენერაცია ყველაზე დიდი რაოდენობით ხდება) ლუბლიანასთან დაკავშირებას (სადაც ელ.ენერჯიაზე ყველაზე დიდი მოთხოვნაა). 86.4 მლნ აშშ დოლარის ღირებულების გადამცემი ხაზის პროექტის თანადამფინანსებელი ევროკომისია იყო.¹¹

მსოფლიო

ჩინეთის ბუნებრივი აირის წყაროები

აშშ და რუსეთი მსოფლიოში ბუნებრივი აირის ორი უდიდესი მწარმოებელია.



ფიქალის გაზის რევოლუციის შემდეგ აშშ-მა ბუნებრივი აირის წარმოებაში პირველი ადგილი დაიკავა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ბუნებრივ აირზე დიდი მოთხოვნაა, ქვეყანა საერთოდ არ არის დამოკიდებული ამერიკულ და რუსულ გაზზე. რუსეთმა სულ ახლახანს დაიწყო ჩინურ ბაზარზე შესვლა,

როდესაც გააფორმა 30 წლიანი მიწოდების კონტრაქტი.

¹⁰Energo CEE/FSU, Power Monitor, Issue 716, 4 June 2014, Serbia restarts flood-hit power plant

¹¹Energo CEE/FSU, Power Monitor, Issue 716, 4 June 2014, Slovenian TSO ELES opens Krsko-Bericevo transmission line

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ევროპა დიდი ალბათობით მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსულ გაზზე დამოკიდებულებას. აშშ მზად არის ევროპას მიაწოდოს თავისი თხევადი ბუნებრივი აირი (თბა), ხოლო ჩინეთში აშშ-ს თბა-ის გამოჩენა ჯერ არც განიხილება.

რუსეთი ამჟამად ბუნებრივ აირს მხოლოდ ევროპას აწვდის და მცირე რაოდენობით სომხეთს. ჩინეთთან ახლახანს გაფორმებული მიწოდების კონტრაქტის თანახმად, 30 წლის განმავლობაში ჩინეთი ციმბირის გაზს მიიღებს. თავდაპირველად მიწოდების მოცულობა დღეში 107 მლნ კუბ.მ. იქნება, საბოლოოდ კი, დღეში 181 მლნ კუბ.მ.-ს მიაღწევს.

აშშ-ს ენერგეტიკული ინფორმაციის სააგენტოს (EIA) მიხედვით, ამერიკული თბა ბოლოს ჩინეთში 2011 წლის მაისში ალასკიდან ტანკერით ჩავიდა. ჩინეთის ბუნებრივი აირის იმპორტში ყველაზე დიდი წილი თურქმენეთს უკავია. ჩინეთის იმპორტის ძირითადი წყაროები ე.წ. მესამე მსოფლიოს ქვეყნებია, როგორებიცაა: ნიგერია, ეგვიპტე, მალაიზია, თურქმენეთი და სხვა. ცხრილში მოცემულია 10 სახელმწიფო, რომლებიც ჩინეთს აწვდიან ბუნებრივ აირს 2013 წლის მონაცემებით.

ქვეყანა	2013 წლის იმპორტის მოცულობა (მლნ მ3)	იმპორტში წილი
ნიგერია	510,000,000	0.96%
გვინეა	560,000,000	1.05%
ეგვიპტე	600,000,000	1.14%
იემენი	1,160,000,000	2.94%
უზბეკეთი	2,900,000,000	5.50%
ინდონეზია	3,500,000,000	6.59%
მალაიზია	3,600,000,000	6.77%
ავსტრალია	5,000,000,000	9.33%
ყატარი	9,500,000,000	17.76%
თურქმენეთი	24,700,000,000	46.48%

2013 წელს ჩინეთმა ჯამში 167.6 მლარდი კუბ.მ ბუნებრივი აირი მოიხმარა, საიდანაც 31.6% იმპორტული იყო, რაც დაახლოებით 52 მილიარდი კუბ.მ-ია.


ჩინეთის იმპორტის უდიდესი ნაწილი თურქმენეთის „სამანტეპეს“ საბადოდან მოდის. 2012 წელს თურქმენეთმა და ჩინეთმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ჩინეთი თურქმენეთიდან მომავალი რამოდენიმე წლის განმავლობაში წლიურად 65 მილიარდ კუბ.მ. ბუნებრივ აირს მიიღებს.¹²

¹² http://energy.einnews.com/article/207543407/sWuyp9kji_U7YRFV?n=2&code=GC3nUIIjIECsLFtE

აშშ ენერგო მოთხოვნის 84%-ს შიდა რესურსებით იკმაყოფილებს

აშშ-ის ენერგო გამოშვებამ 81 კვადრილიონ ბრიტანულ თერმულ ერთეულს (ბთე) მიაღწია, რაც მთელი ქვეყნის მოთხოვნის 84%-ს აკმაყოფილებს. აშშ-ის მთლიანმა ენერგო მოთხოვნამ 97.5 კვადრილიონი ბთე შეადგინა. ბუნებრივი აირი უკვე ზედიზედ მესამე წელია ქვეყნის შიგნით წარმოებულ რესურსებს შორის ლიდერია. წიაღისეულმა საწვავმა აშშ-ში ჯამში მთელი ენერგო მოთხოვნის 3/4-ზე მეტი აწარმოა. აშშ-ში მოხმარებული ენერჯის 82% წიაღისეულ საწვავზე მოდის, 10% - განახლებადებზე და 8% - ატომურ ენერჯიაზე.

აშშ-ში ქვეყნის შიგნით წარმოებული ენერჯის წილი 2005 წლიდან იზრდება, რომელიც იმ პერიოდში მოხმარებასთან მიმართებაში ისტორიულ მინიმუმამდე იყო დასული (69%). 2005 წლიდან იწყება აშშ-ის შიდა ენერჯის წარმოება და ეს ძირითადად ბუნებრივი აირისა და ნავთობის ხარჯზე ხდება. ახალი ტექნოლოგიების განვითარებით შესაძლებელი გახდა ძნელადმოპოვებადი რესურსების მოპოვება. ენერგოეფექტური ტექნოლოგიების განვითარებამ კი შეამცირა ნავთობისა და ნახშირის მოხმარება.



აშშ-ს შიდა ენერჯის წარმოების პროცენტული წილი (1949-2013 წწ)

უკანასკნელი მნიშვნელოვანი ზრდა აშშ-ის შიდა ენერჯის წარმოებაში დაფიქსირდა 1978-1982 წლებში. ამ პერიოდში ნავთობის მოხმარება შემცირდა ფასების ზრდის გამო. ასევე, გაიზარდა მოპოვებაც, დაიწყო რა ალასკის საბადოდან ნავთობის მოდინება.¹³

¹³ <http://www.eia.gov/todayinenergy/detail.cfm?id=16511>

ნავთობის ფასის მოძრაობა – მსოფლიო ბირჟების 3 ივნისის მიმოხილვა

ნავთობის ფასები კვლავ სტაბილურად მაღალია. ბრენტის ტიპის ნავთობზე ვაჭრობა მიმდინარეობს 109 ნიშნულის გარშემო, ხოლო ამერიკულ ნავთობზე - 103 ნიშნულთან.

მაღალი ფასის შენარჩუნება პირველ რიგში გამოწვეულია ლიბიაში პოლიტიკური დაძაბულობით, რის გამოც ვერ ხორციელდება დღეში 1 მილიონი ბარელის მიწოდება ევროპისთვის. რაოდენობა დაკლებულია 200 ათას ბარელამდე.

დამატებით ფაქტორად კი მოგვევლინა ჩინეთიდან გამოსული მაკროეკონომიკური მაჩვენებლები. ჩინეთი არის მსოფლიოში ნომერ პირველი ნავთობმომხმარებელი. ქვეყნის საწარმოო და საქმიანობის ინდექსებმა კი მოიმატა.

კერძოდ, საწარმოო ინდექსმა პირველად 5 თვის მანძილზე გადააბიჯა 50-იან ნიშნულს და შეადგინა 50.8 პუნქტი, ხოლო საქმიანობის აქტიურობის ინდექსმა კვლავ მოიმატა და შეადგინა 55.5 პუნქტი. 50 ნიშნულს ზემოთ ამ ორი ინდექსის დაფიქსირება გულისხმობს ქვეყანაში დადებით ეკონომიკურ ტენდენციებს. აქედან გამომდინარე ჩინეთი გააგრძელებს დიდი ოდენობით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესყიდვას ახლო მომავალში და ამის გამო შეიძლება ნავთობზე შენარჩუნდეს მაღალი ფასები.¹⁴

ანალიტიკა

მსოფლიოს 5 უდიდესი ნავთობის საბადო

ჰორიზონტალური ბურღვითი სისტემების გამოყენებით ფიქალის ნავთობის მოპოვებამ გააჩინა ნავთობის ახალი წყაროები. ახალმა ნავთობმა, მიუხედავად გაზრდილი მოთხოვნისა და დაძაბული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა, მსოფლიო ბაზარზე ფასების შენარჩუნებას შეუწყო ხელი,

მაგრამ მსოფლიო ბაზარი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნავთობის ტრადიციულ წყაროებსა და საბადოებზე, რომელთა უმრავლესობის მარაგები მცირდება. ახლო აღმოსავლეთი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში დომინანტი იყო ნავთობის მიწოდებით მსოფლიო ბაზარზე. ქვემოთ მოყვანილი სიის მიხედვით ეს ტენდენცია შენარჩუნებულია. წარმოგიდგინთ მსოფლიოს 5 უდიდეს ნავთობსაბადოს:

1. Ghawar-ი (საუდის არაბეთი) - ლეგენდარული საბადოდან ნავთობის მოპოვება 1950-იანი წლების დასაწყისიდან მიმდინარეობს. საბადო საუდის არაბეთს

¹⁴ <http://commerciant.ge/?menuid=92&id=11939>

საშუალებას აძლევს იყოს ნავთობის უდიდესი მწარმოებელი და კიდევ დიდხანს დარჩეს ბაზრის მონოპოლისტად. საბადოზე დაახლოებით 70 მილიარდი ბარელის რეზერვია დარჩენილი. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საბადოს წარმოების პიკი შემცირდა, მაგრამ საუდის არაბეთში ინფორმაციის ნაკლებობის გამო ეს მხოლოდ ვარაუდებია. საბადო Ghawar-ი დღესაც მსოფლიოს უდიდეს საბადოდ რჩება დღეში 5 მილიონი ბარელი მოპოვებით.

2. Burgan-ი (ქუვეითი) Ghawar- ის საბადოს შემდეგ ის უდიდესი საბადოა. საბადო 1938 წელს აღმოაჩინეს, ხოლო წარმოება 10 წლის შემდეგ დაიწყო. საბადოს რეზერვი 66-დან 72 მილიარდ ბარელამდეა, რაც ქვეყნის მთლიანი რეზერვების ნახევარია. საბადოზე დღეში 1.1-დან 1.3 მილიონ ბარელამდე ნავთობს მოიპოვებენ.

3. Safaniya (საუდის არაბეთი) - მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობის ოფშორული



საბადო, რომელიც სპარეთის ყურეში მდებარეობს. საბადოს რეზერვი დაახლოებით 50 მილიარდი ბარელია. საბადოზე დღეში 1.5 მილიონ ბარელს მოიპოვებენ. საბადო საუდის არაბეთში ერთ-ერთი უძველესია და მასზე მოპოვება დაახლოებით 60 წელია მიმდინარეობს.

4. Rumalia (ერაყი) – ერაყის უდიდესი საბადო, რომელიც ქვეყნის სამხრეთში მდებარეობს. მისი რეზერვია 17.8 მილიარდი ბარელი. 2009 წლიდან საბადოს ოპერირებას უწევენ „ჩინეთის ნაციონალური ნავთობკომპანია“ და „ერაყის სახელმწიფო ნავთობკომპანია“. დღესდღეობით საბადო დღეში 1.5 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებს, ხოლო უახლოეს რამოდენიმე წელიწადში მოპოვების გაზრდა 2.85 მილიონ ბარელამდე იგეგმება.

5. West Qurma-2 (ერაყი) - ასევე მდებარეობს სამხრეთ ერაყში და ქვეყნის სიდიდით მეორე საბადოა, 13 მილიარდი ბარელი რეზერვით. West Qurma-ს საბადო ორ ნაწილად გაიყო და West Qurma-2-ის ოპერატორი რუსული Lukoil-ი გახდა. კომპანიამ მიმდინარე წელს დღეში 120 000 ბარელის მოპოვება დაიწყო და 2017 წლამდე მოპოვების 1.2 მილიონამდე გაზრდას გეგმავს. მეორე ნაწილის - West Qurma-1-ის ოპერატორი ერთობლივი საწარმოა, რომლის წილის მფობელები არიან: ExxonMobil-ი, BP, Eni Spa და PetroChina. საბადოზე 8.6 მილიარდი ბარელის რეზერვია და თავდაპირველი, დღეში 300 000 ბარელი, მოპოვების გაზრდა მომავალ 5 წელიწადში 2.3 მილიონამდე იგეგმება.

აშკარაა, რომ ახლო აღმოსავლეთი ნავთობის მსოფლიო ცენტრია. მიუხედავად საბადოების წლოვანებისა, მათ მაინც ძალიან დიდი მარაგები აქვთ და მსოფლიოს მოთხოვნის დაკმაყოფილების უმთავრეს წყაროდ დარჩებიან დიდი ხნის განმავლობაში.¹⁵

¹⁵ <http://oilprice.com/Energy/Energy-General/Here-Are-The-Worlds-Five-Most-Important-Oil-Fields.html>